განკარგულება N

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხების განკარგვისა და ხარჯვის შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე

საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ცნობად იქნეს მიღებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხების განკარგვისა და ხარჯვის შესახებ ინფორმაცია.

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერმა, შესაბამის სამსახურებთან ერთად მოახდინოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გახარჯული თანხის იდენტიფიცირება, საჭიროებების ანაზლიზი და აღნიშნულიდან გამომდინარე მომზადდეს შესაბამისი ცვლილებები ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბერის №13 დადგენილებასა და ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბერის №9 დადგენილებაში.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.